დამტკიცებულია

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის
კოლეჯის დირექტორის
2019 წლის 15 ივლისის
№43 ბრძანებით

სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

„მეჩარხე“

მისამართი: ქ.თბილისი, ქ. თბილისი თემქის დასახლება,
მე-11 მკ.რ. მე-3 კვ. ნაკვეთი 01/10

პროგრამის ხელმძღვანელი: ნია ნათბილაძე
ტელეფონი: 595953300
ელ. ფოსტა: N.natbiladze@gtu.edu.ge

თბილისი
2019წ.

1. **ჩარჩო დოკუმენტის სახელწოდება ქართულ და ინგლისურ ენაზე, რომლის საფუძველზეც შემუშავებულია პროგრამა:**

   მექანიკა და ლითონის დამუშავება/ Mechanics and Metal Trades

2. **ჩარჩო დოკუმენტის სარეგისტრაციო ნომერი, რომლის საფუძველზეც შემუშავებულია პროგრამა:** 07314-პ

3. **მისანიჭებელი კვალიფიკაციები ქართულ და ინგლისურ ენაზე:**

   საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ლითონის დამუშავებაში/Basic vocational qualification in Metal Trades

აღნიშნული კვალიფიკაციები განეკუთვნება განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორის ISCED-ის მიხედვით განეკუთვნება დეტალურ სფეროს - „მექანიკა და ლითონის დამუშავება", კოდი - 0715, აღმწერი - „შეისწავლის მანქანების, მექანიკური საწარმოებისა და სისტემების, ასევე ლითონის პროდუქციის დაგეგმვას, პროექტირებას, განვითარებას, წარმოებას, ფუნქციონირებასა და მონიტორინგს. ის მოიცავს პროდუქციის წარმოებისა და მომსახურებისთვის განკუთვნილი მანქანა - დანადგარების პროექტირებასა და ფუნქციონირებას. ეს დეტალური სფერო ფოკუსირებულია მანქანებზე/მოწყობილობებზე, მექანიკურ სისტემებსა და ლითონის პროდუქციაზე"

4. **მიზანი**

პროგრამის მიზანია, ლითონის დამუშავების სფეროსთვის კონკურენტუნარიანი სამუშაო ძალის მომზადების უზრუნველყოფა. **„ლითონის დამუშავების სპეციალისტი,"-ს კონცენტრაცია - „მეჩარხე"-ს** პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულები შეძლებენ ლითონდამამუშავებელი ჩარხების პროგრამულ მართვას, დეტალების დამუშავებას სახარატო, საფრეზი და სახეხი ჯგუფის ლითონდამამუშავებელ ჩარხებზე. სპეციალისტები ასევე აღჭურვილი იქნებიან პროფესიული და ზოგადი/ტრანსფერული უნარებით.

5. **დაშვების წინაპირობა**

   საბაზო განათლება.

6. **დასაქმების შესაძლებლობები:** ლითონის დამუშავებაში საბაზო საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს, ,,**მეჩარხე"-ს** მიმართულებით შესაძლებელია დასაქმდეს მანქანათსაშენ საწარმოებში, აგრეთვე ისეთი დარგების საწარმოებში, როგორიცაა: კვების მრეწველობა, მსუბუქი მრეწველობა, ტრანსპორტი, მეტალურგია, ქიმიური მრეწველობა, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება-გადამუშავება, სოფლის მეურნეობა და სხვა დარგები, რომელთა საწარმოო პროცესებში გამოყენებულია მანქანა-დანადგარები, ლითონსაჭრელი ჩარხები. აგრეთვე, მეჩარხეს გააჩნია სამანქანათმშენებლო მიმართულებით თვითდასაქმების შესაძლებლობა.

   - ეკონომიკური საქმიანობების სახეების ეროვნული კლასიფიკატორის კოდები: 25.62.0; 25.73; 25.9; 25.94.0; 25.99.0; 28.15.0

   - დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორის (ISCO) კოდი: 3115; 7233; 8211

7. სტრუქტურა და მოდულები

ლითონის დამუშავებაში საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მიღებისათვის პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს ჯამურად **86 კრედიტი**, რომელთაგან 6 მოდული (16 კრედიტი) ზოგადია, 7 მოდული (33 კრედიტი) - საერთო პროფესიული, 8 მოდული (37 კრედიტი) - კონცენტრაციის მოდულები.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს მშობლიური/საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენის კომპეტენციის შეფასების მიდგომებს.

მოდულის, ქართული ენა A2, (15 კრედიტი) გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის ბრძანება №152/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე ტესტირების გზით. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულით.

- პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 86 კრედიტი;
- პროგრამის ხანგრძლივობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 65 კვირა;
- პროგრამის მოცულობა არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის - 101 კრედიტი;
- პროგრამის ხანგრძლივობა არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის - 76 კვირა;

საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ლითონის დამუშავებაში		
ქართული ენის მოდული		
№	**მოდულის დასახელება**	
01	ქართული ენა A2	**15**
ჯამი:		**15**
საერთო პროფესიული მოდულები		
№	**მოდულის დასახელება**	**კრედიტი**
1.	საკონსტრუქტორო ხაზვა მექანიკაში	6
2.	მასალათმცოდნეობის საფუძვლები	3
3.	ზოგადი ელექტროტექნიკა	3
4.	მეტროლოგიის საფუძვლები	3
5.	ჰიდრო- და პნევმოამძრავების საფუძვლები	3
6.	დეტალების დამზადების ტექნოლოგიური პროცესები	12
7.	პირველადი გადაუდებელი დახმარება - მექანიკა და ლითონის დამუშავება	3
ჯამი:		**33**
ზოგადი მოდულები		
№	**მოდულის დასახელება**	**კრედიტი**
1.	ინფორმაციული წიგნიერება 1	3
2.	ინტერპერსონალური კომუნიკაცია	3
3.	რაოდენობრივი წიგნიერება	2
4.	უცხოური ენა (ინგლისური ენა)	4
5.	მეწარმეობა 1	2
6.	სამოქალაქო განათლება	2
ჯამი:		**16**
პროფესიული მოდულები - „მეჩარხე“		

№	**მოდულის დასახელება**	**კრედიტი**
1.	გაცნობითი პრაქტიკა - მეჩარხე	2
2.	ჭრის თეორია და მჭრელი იარაღები	8
3.	პროგრამირებადი ლოგიკური კონტროლერების პროგრამირების საფუძვლები	3
4.	ლითონდამამუშავებელი ჩარხის პროგრამული მართვა	4
5.	დეტალის დამუშავება სახარატო ჯგუფის ლითონდამამუშავებელ ჩარხზე	5
6.	დეტალის დამუშავება საფრეზი ჯგუფის ლითონდამამუშავებელ ჩარხზე	7
7.	დეტალის დამუშავება სახეხი ჯგუფის ლითონდამამუშავებელ ჩარხზე	6
8.	პრაქტიკული პროექტი - ნახაზის შესაბამისად კორპუსული დეტალის დამზადება სახარატო-საფრეზი პროგრამული მართვის უნივერსალურ-ვერტიკალურ-საფრეზი და სახეხი ჯგუფის ჩარხების გამოყენებით	2
ჯამი:		**37**

8. მისანიჭებელი კვალიფიკაციების აღწერა - სწავლის შედეგები

კურსდამთავრებულს შეუძლია:

1. დაამზადოს დეტალი პროგრამული მართვის ლითონდამამუშავებელ ჩარხზე;
2. დაამზადოს დეტალი სახარატო ჯგუფის ლითონდამამუშავებელ ჩარხზე
3. დაამზადოს დეტალი საფრეზი ჯგუფის ლითონდამამუშავებელ ჩარხზე
4. დაამზადოს დეტალი სახეხი ჯგუფის ლითონდამამუშავებელ ჩარხზე
5. განახორციელოს პროგრამული მართვის, სახარატო, საფრეზი, სახეხი ლითონდამამუშავებელ ჩარხების ტექნიკური მომსახურება
6. განახორციელოს დამზადებული დეტალებისა და ნაკეთობების სიზუსტისა და დამუშავების ხარისხის შემოწმება.

9. ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯმა შეიმუშავა ჩარჩო დოკუმენტის ,,მექანიკა და ლითონის დამუშავება/ Mechanics and Metal Trades“ საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,მეჩარხე“.

10. სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება

პირს კრედიტი მიენიჭება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე, რომელიც შესაძლებელია:
ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით;
ბ)არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.

არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.

განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.
განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:
ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;
ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.
განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს/მსმენელს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. შეფასების მეთოდი/მეთოდები რეკომენდაციის სახით მოცემულია მოდულებში.
ჩარჩო დოკუმენტი მოდულების, სწავლის შედეგებისა და თემატიკის კომპონენტებში ითვალისწინებს რვა საკვანძო კომპეტენციის განვითარებას (მშობლიურ ენაზე კომუნიკაცია; უცხო ენაზე კომუნიკაცია; მათემატიკური კომპეტენცია; ციფრული კომპეტენცია; დამოუკიდებლად სწავლის უნარი; პიროვნებათშორისი, კულტურათაშორისი, სოციალური და მოქალაქეობრივი კომპეტენციები; მეწარმეობა და კულტურული გამომხატველობა), რომლებიც მნიშვნელოვანია პროფესიონალი და კონკურენტუნარიანი კადრის აღზრდისთვის. რვა საკვანძო კომპეტენციიდან ერთ-ერთი - მშობლიური/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების ძირითადი ენის განვითარების მიზნით, თითოეული პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ სწავლება-სწავლის პროცესში უნდა შეფასდეს ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარი, კერძოდ, მართლწერისა და მართლმეტყველების წესების დაცვა შემდეგი კომპეტენციების ფარგლების გათვალისწინებით:

მართლმეტყველება

- საუბრის/პრეზენტაციის დროის ლიმიტის დაცვა;
- სათანადო პროფესიული ლექსიკის გამოყენება;
- მოსაზრების ჩამოყალიბება გასაგებად, ნათლად და თანამიმდევრულად;
- ადეკვატური მაგალითებისა და არგუმენტების მოყვანა;
- ზეპირი მსჯელობისთვის დამახასიათებელი არავერბალური საშუალებების ადეკვატურად გამოყენება (მაგ., ჟესტიკულაცია, ინტერვალი საუბარში, ხმის ტემბრის ცვალებადობა).

მართლწერა

- საკავშირებელი სიტყვების სწორად გამოყენება;
- ძირითადი სასვენი ნიშნების (წერტილი, კითხვისა და ძახილის ნიშნები) სწორად გამოყენება;
- პროფესიული ლექსიკის სათანადოდ გამოყენება;
- წერისას ტიპობრივი სტილისტური ხარვეზების აღმოფხვრა;
- არ უნდა იქნეს გამოყენებული ენისთვის არაბუნებრივი შესიტყვებები და ლექსიკა - ბარბარიზმები, ჟარგონები;
- ინფორმაციის გადმოცემა თანამიმდევრულად, გასაგებად, შესასრულებელი აქტივობის შესაბამისად.

11. კვალიფიკაციის მინიჭება

კვალიფიკაციის მინიჭება ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის პრეროგატივაა და მის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული 86 კრედიტი.

12. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების/მსმენელების სწავლებისათვის

შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია - მე-11 პუნქტით გათვალისწინებული წესით.

13. პროფესიული პროგრამის განხორციელების ადგილი

პროგრამა განხორციელდება სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის და სს საქართველოს რკინიგზის ბაზაზე.

დანართი 1. პროგრამა, მოდულები, სასწავლო გეგმა, ადამიანური რესურსი, სასწავლო გარემო და მატერილური რესურსი, ხელშეკრულებები;
დანართი 2. პროგრამის დამტკიცების აქტი;
დანართი 3. მიზანშეწონილობა;
დანართი 4. სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა;
დანართი 5. პროგრამის დამატების საფასურის გადახდის ქვითარი;
დანართი 6. ბაზრის კვლევა.

პროგრამის ხელმძღვანელი ნია ნათბილაძე

ხარისხის მართვის მენეჯერი შოთა მარგიშვილი

დირექტორი მანანა მოისწრაფიშვილი